საქმის დასახელება - ხონიაკინა საქართველოს წინააღმდეგ
საჩივრის ნომერი - 17767/08
მოპასუხე სახელმწიფო - საქართველო
გადაწყვეტილების მიღების თარიღი - 19/06/2012
შედეგი: კონვენციის მე-6(1) მუხლი არ დარღვეულა- სამართლიანი სასამართლოს უფლება (მე-6 მუხლი- სამოქალაქო განხილვები, მე-6 (1) მუხლი - მიუკერძოებელი სასამართლო)
კონვენციის პირველი ოქმის 1 მუხლი -საკუთრების უფლება არ დარღვეულა (პირველი ოქმის პირველი მუხლი- მფლობელობის მშვიდობიანი განხორციელება
განსხვავებული აზრი:
საკვანძო სიტყვები:
(მუხლი 6) სამართლიანი სასამართლოს უფლება
(მუხლი 6) სამოქალაქო განხილვები
(მუხლი 6-1) მიუკერძოებელი სასამართლო
(მუხლი 35) დასაშვებობის კრიტერიუმი
(პირველი ოქმის 1 მუხლი) საკუთრების უფლება
(პირველი ოქმის 1(1) მუხლი) მფლობელობის მშვიდობიანი განხორციელება
(პირველი ოქმის 1(1) მუხლი) კანონით გათვალისწინებული
შეფასების ზღვარი
პროპორციულობა

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მესამე სექცია

საქმე "ხონიაკინა საქართველოს წინააღმდეგ"

(საჩივარი № 17767/08)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი
2012 წლის 19 ივნისი

საბოლოო გახდა
19/11/2012

წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.

საქმეზე „ხონიაკინა საქართველოს წინააღმდეგ“,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მესამე სექცია) პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:

ჯოზეპ კასადევალი, თავმჯდომარე,
კორნელიუ ბირსანი,
ალვინა გულუმიანი,
ინეტა ზიმელე,
ლუის-ლოპეზ გუერა.
ნონა წოწორია,
კრისტინა პარდალოსი, მოსამართლეები,
და *სანტიაგო ქესადა,* სექციის განმწესრიგებელი,

2012 წ. 22 მაისს გამართული დახურული თათბირის შემდეგ, გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმის საფუძველია საქართველოს მოქალაქის, ქ–ნ *ადელინა ხონიაკინას* („მომჩივანი“) მიერ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე, 2008 წ. 21 მაისს, სასამართლოში, საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი (№ 17767/08).

2. მომჩივანს საშუალება მიეცა, წარმოედგინა სასამართლოს წინაშე თავისი საკუთარი საქმე ქართულ ენაზე, წერილობითი ფორმით *in fine* სასამართლოს რეგლამენტის 34§3 და 36§2 მუხლების თანახმად. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან, ბ–ნი *ლევან მესხორაძე.*

3. 2009 წ. 8 აპრილს, სასამართლომ, კონვენციის მე-6 და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლების საფუძველზე, აცნობა მთავრობას მომჩივნის პრეტენზიების შესახებ, რაც მოიცავდა მოსამართლის მხრიდან მის სავარაუდო დაინტერესებას საქმის განხილვის დროს და განცხადებლის, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლის პენსიის ოდენობას. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის მისაღებობისა და არსებითი მხარის ერთდროულად განხილვასთან დაკავშირებით (მუხლი 29§1).

4. მთავრობამ მოითხოვა საქმის ზეპირი განხილვა. თუმცაღა, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ არ იყო აუცილებელი საქმის განხილვა წინამდებარე გადაწყვეტილების მიღებამდე.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

5. მომჩივანი დაიბადა 1926 წელს და ცხოვრობს თბილისში.

ა. ისტორია

6. მომჩივანი იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე 1956 წლიდან, მაშინ როდესაც ქვეყანა წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის ნაწილს და შემდეგაც, როცა ის გახდა დამოუკიდებელი.

7. 2000წ. 4 მაისს, განცხადებელი გავიდა პენსიაში საპენსიო ასაკის დადგომისას და „საქართველოს უზენასესი სასამართლოს შესახებ“ 1999 წ. 12 მაისის კანონის (უზენაესის სასამართლოს შესახებ კანონი) 36-ე მუხლის თანახმად, მას დაენიშნა პენსია 1,073 ლარის ოდენობით (492 ევრო) მისი ბოლო ხელფასის სრული ოდენობით.

8. უზენაესის სასამართლოს შესახებ კანონის 36-ე მუხლის პირველადი ვერსიის მიხედვით, რომელიც ძალაში იყო მომჩივნის პენსიაზე გასვლის დროს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს ენიშნებოდა სამისდღეშიო პენსია ხელფასის სრული ოდენობით, რომლის ცვლილება მოხდებოდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების სახელფასო შკალაში შესული ცვლილებების გათვალისწინებით.

9. უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის 36-ე მუხლში შემდგომში არაერთხელ შევიდა ცვლილებები. შესაბამისად, 2001 წ. 16 მარტის ცვლილებით, ცვლილებასთან დაკავშირებული მისი მე-2 პუნქტი (ცვლილების პუნქტი) ამოღებულ იქნა.

10. 2005 წ. 10 მარტის ცვლილების შედეგად, ცვლილების პუნქტი ისევ იქნა შეტანილი უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონში ოდნავ სახეცვლილი ფორმით, რომელიც ზრდიდა ცვლილების შესაძლებლობას, პენსიაში გასული უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისთვის, იმათთვის, ვისი უფლებამოსილებაც შეწყდა 2005 წ. 1-ლი იანვრიდან 2005 წ. 31 დეკემბრამდე იმ პირობით, რომ ისინი სულ მცირე, სამი წელი მუშაობდნენ ამ პოზიციაზე (2005 წ. 23 ივნისის კანონის 36-ე და მე-40 (7) მუხლები).

11. საბოლოოდ, 2005 წ. 23 დეკემბრის ცვლილებით, რომელიც ძალაში შევიდა 2006 წ. 1 იანვარს, 36-ე მუხლი შემდეგნაირად იკითხება:

> „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას ან საპენსიო ასაკის მიღწევისას ენიშნება სახელმწიფო კომპენსაცია 1.200 ლარის (551 ევროს) ოდენობით.“

12. ამ კანონის 40(7) მუხლი, რომელიც შეიცვალა იმავე დროს, განმარტავდა, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, რომლებსაც უფლებამოსილება შეუწყდათ 2005 წ. 1-ლი იანვრიდან 2006 წ. 1-ლ იანვრამდე, დაენიშნებოდათ

სახელმწიფო კომპენსაცია ბოლო ხელფასის სრული ოდენობით იმ ვადით, რა ვადითაც მათ უნდა განეხორციელებინათ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილება. აღნიშნული უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ მოხდებოდა კომპენსაციის თავიდან კალკულაცია ამ კანონის 36-ე მუხლის ბოლო ვერსიის შესაბამისად.

13. ამ დებულების წინა ცვლილებებისგან განსხვავებით, 2005 წ. 23 დეკემბრის მდგომარეობით არსებულმა 36-ე მუხლის ვერსიამ გამოიწვია უკუძალის ეფექტი 40(7)(1) მუხლის საფუძველზე, რომელიც შეტანილ იქნა უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონში იმავე დღეს.

ბ. პენსიასთან დაკავშირებული პირველი დავა

14. 2004 წ. 3 სექტემბერს, პენსიის დანიშვნის პროცედურით უკმაყოფილო განცხადებელმა სარჩელი შეიტანა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიყენებული ზიანის ფულადი კომპენსაციის სახით ანაზღაურების მიზნით, კერძოდ, იგი უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონში 2001 წ. 16 მარტს შესული ცვლილების მოქმედების კანონიერებას ასაჩივრებდა. ეყრდნობოდა რა წინამდებარე კანონის 36–ე მუხლის პირველად ვერსიას, განცხადებელმა მოითხოვა, რომ მისი პენსიის ცვლილება მომხდარიყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა სახელფასო განაკვეთების მატების შესაბამისად, რაც განხორციელდა მისი პენსიაში გასვლის შემდეგ და მას უნდა ანაზღაურებოდა შესაბამისი დავალიანება. საქართველოს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ფონდი („ფონდი“) იყო მოპასუხე აღნიშნული სამართალწარმოების დროს.

15. 2004 წ. 27 დეკემბერს, თბილისში, მთაწმინდა–კრწანისის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა მომჩივნის სარჩელი ნაწილობრივ, განმარტა რა, რომ 2001 წ. 16 მარტით დათარიღებულ ცვლილებას, *inter alia*, არ უნდა გამოეწვია უკუძალა სამოქალაო კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, ვინაიდან ცვლილების პუნქტის ამოღებამ გააუარესა მომჩივნის მდგომარეობა.

16. 2005 წ. 23 მაისს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, საჩივარა რა, რომ მომჩივნის სიტუაციის გაუარესების წინასწარი ნიშნები სახეზე არ იყო.

17. საბოლოოდ, 2006 წ. 21 თებერვალს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამი მოსამართლისგან შემდგარმა კოლეგიამ (უმრავლესობა), ხმათა უმრავლესობით, გამოიტანა გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრის საფუძველზე და გააუქმა 2005 წ. 23 მაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და მომჩივნის სარჩელი სრულად დააკმაყოფილა.

18. დასაწყისში, მოსამართლეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ვინაიდან ფონდმა შეცდომით აუნაზღაურა მომჩივანს მისი 2006 წ. იანვრის პენსია უზენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლის ბოლო ხელფასის შესაბამისი ოდენობით

(3.000 ლარი – 1.378 ევრო), მომჩივნის პრეტენზია უნდა იქნას შემოფარგული დროით, 2005 წ. დეკემბრამდე, ამ უკანასკნელის ჩათვლით.

19. მოსამართლეთა უმრავლესობამ საჩივარა, რომ 2001 წ. 16 მარტის ცვლილებას არ შეიძლება ჰქონოდა უკუძალის ეფექტი, ვინაიდან ის არ შეიცავდა მსგავს ეფექტზე რაიმე მინიშნებას, როგორც ეს მოითხოვება „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 47(1) მუხლის თანახმად (იხ. §38). მსგავსი აშკარა მინიშნების არარსებობის პირობებში, არ შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ საკანონმდებლო ორგანოს ჰქონდა განზრახვა ჩამოერთვა უკვე პენსიაში გასული მოსამართლეებისთვის „პენსიის ცვლილების უფლება“ *ex post facto*; მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება მსგავსი ქმედების შესახებ იყო შემთხვევითი.

20. მოსამართლეთა უმრავლესობამ აგრეთვე საჩივარა, რომ ვინაიდან 1996 წ. 25 ივნისის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ კანონის მე-8 მუხლი გამორიცხავდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ხელფასის შემცირების შესაძლებლობას, ლოგიკურია ჩავთვალოთ, რომ ცვლილების პუნქტი პრინციპში ნიშნავდა პენსიის ზრდის უფლების დაცვას.

21. მოსამართლეთა უმრავლესობამ შემდგომში დაადგინა, რომ წინამდებარე დავაზე გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლომ უნდა გამოიყენოს მოქმედი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ამ მომენტისთვის შეესაბამება მოცემულ კრიტიკულ შემთხვევას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ მოვლენის სამართლებრივი შედეგები დადგა მოგვიანებით სხვა კანონის მოქმედების ქვეშ. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს აზრით, *„დაირღვევა კანონის ერთგვაროვნება სამართებრივი ცალსახობა (განსაზღვრულობა) ... და საშუალება მიეცემა კანონმდებლებს ჩაანაცვლოს სამართლებრივი წესრიგი“* მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მომჩივნის პენსიის მიღების უფლებას გააჩნდა მუდმივი ხასიათი, ეს უფლება, უზენაესი სასამართლოს აზრით, წარმოიშვა 2000 წლის მაისში მომჩივნის პენსიაში გასვლის ფაქტით, როდესაც მას დაენიშნა სამისდღეშიო პენსია, უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის 36-ე მუხლის საწყისი ვერსიის საფუძველზე.

22. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, მოსამართლეთა უმრავლესობამ დაასკვნა, რომ 2001 წ. 16 მარტით დათარიღებულ სადაო ცვლილების გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ მოსამართლეების მიმართ, რომლებსაც პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდათ უფლებამოსილება ან მიაღწიეს საპენსიო ასაკს ან ამოეწურათ უფლებამოსილების ვადა და შესაბამისად გააჩნდათ პენსიის მიღების უფლება მისი ძალაში შესვლის შემდგომ. ეს ცვლილება არ უნდა იქნას გაგებული, როგორც უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის 36-ე მუხლის პირველადი ვერსიის ჩანაცვლება და არ უნდა გავრცელდეს პენსიაში გასულ მოსამართლეებზე, რომლებმაც უკვე მოიპოვეს პენსიის მიღების უფლებები.

23. მოსამართლეთა უმრავლესობამ აგრეთვე აღნიშნა, რომ უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის 36-ე მუხლის პირველადი ვერსია ამკვიდრებს საპენსიო ოდენობის ძალიან მაღალ სტანდარტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისთვის. მათ ამ თვალსაზრისით აღნიშნეს, რომ *„ გულუხვი საპენსიო*

დახმარება არ წარმოადგენს მხოლოდ სოციალური დაცვის საკითხს ნებისმიერი პენსიაში გასული მოსამათლისთვის, მისი მიზანია აგრეთვე სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნება ზოგადად, მოქმედი მოსამართლეებისთვის იგივე სარგებლის შეთავაზებით მათი მომავალი გადადგომის შემდგომ“...

24. უზენაესი სასამართლოს ერთ–ერთმა წევრმა, მოსამართლე ს–მ გამოთქვა საწინააღმდეგო აზრი. მან აღნიშნა, რომ ცვლილების პუნქტის ამოღებამ უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის 36-ე მუხლიდან არ შეიძლება ითქვას რომ გამოიწვია მომჩივნის მდგომარეობის გაუარესება, ვინაიდან პენსია შესაძლოა თანაბრად შემცირებულიყო და არ გაზრდილიყო. მოსამართლეთა უმრავლესობის საწინააღმდეგოდ, მან საჩივარა, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ 1996 წ. 25 ივნისის კანონის მე-8 მუხლი საერთოდ არ არის კავშირში მოსამართლეთა პენსიის უზრუნველყოფის საკითხთან. კითხვაზე, შეიძლება თუ არა შემცირდეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა პენსია, მოსამართლემ ს.-მ დაბეჯითებით უპასუხა, რომ მსგავსი მექანიზმი გათვალისწინებულია საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 81(4) მუხლით. მისი აზრით, 2001 წ. 16 მარტის ცვლილება მიესადაგება მომჩივნის სიტუაციას, ვინაიდან ის არ ლახავს მისთვის პენსიის მიღების უფლებას, მაგრამ ახდენს მისი ოდენობის თავიდან დადგენას.

25. მოსამართლე ს.-მ აგრეთვე საჩივარა, რომ არც 2001 წ. 16 მარტის ცვლილებით და არც 2005 წ. 23 დეკემბრის ცვლილებით, რომელიც ადგენს 1.200 ლარის ოდენობით პენსიაში გასული მოსამართლის პენსიის ოდენობას არ დარღვეულა კანონის ერთგვაროვნება. მან დაასკვნა, რომ მომჩივნის პენსიის ცვლილება უნდა მოხდეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ხელფასის მატების შესაბამისად მხოლოდ 2005 წ. 10 მარტის, როცა ცვლილების პუნქტი თავიდან იქნა შეტანილი უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონში და 2006 წ. 1 მარტის პერიოდს შორის, როცა 2005 წ. 23 დეკემბრის ცვლილება *ex post facto* შევიდა ძალაში.

26. 2006 წ. 21 თებერვლის სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, ფონდი ვალდებულია აუნაზღაუროს მომჩივანს ყველა ის დავალიანება, რომელიც დაგროვდა 2005 წ. დეკემბრამდე და მისი ჩათვლით პენსიის ოდენობის ვერ ცვლილების მიზეზით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ხელფასის მატების შესაბამისად, როგორც ეს განსაზღვრულია უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის 36-ე მუხლის საწყისი ვერსიით.

27. ფონდმა დაუფარა 2006 წ. 21 თებერვლით დათარიღებული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი დავალიანება მომჩივანს განსაზღვრულ ვადაში.

გ. პენსიასთან დაკავშირებული მეორე დავა

28. 2006 წლიდან მოყოლებული უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონში 2005 წ. 23 დეკემბრის ცვლილებაზე დაყრდნობით, ფონდმა განსაზღვრა პენსია 1.200 ლარის (551 ევრო) ოდენობით.

29. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2006 წ. 31 მაისს, მომჩივანმა შეიტანა სხვა სარჩელი ზიანის ანაზღაურებაზე ფონდის წინააღმდეგ, რომლითაც სადაოს ხდიდა 2005 წ. 23 დეკემბრის ცვლილების გამოყენების კანონიერებას მისი მდგომარეობისთვის.

30. 2006 წ. 19 სექტემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ არასაკმარისად არგუმენტირებულად ცნო მომჩივნის სარჩელი და იგი არ დააკმაყოფილა. სასამართლოს მიერ მოყვანილი განმარტებები უმეტესად შეესაბამებოდა მოსამართლე ს.-ს მიერ მოყვანილ არგუმენტებს, რომელიც მან გამოხატა 2006 წ. 21 თებერვლის გადაწყვეტილების მიღებისას. პირველი ინსტანციის სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ 2005 წ. 23 დეკემბრის სადაო ცვლილება, უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის 36-ე მუხლის წინა ცვლილებებისგან განსხვავებით, შეიცავდა უკუძალის ეფექტზე აშკარა მინიშნებას, და შესაბამისად, იყო შეთავსებადი ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 47(1) მუხლთან.

31. მომჩივანმა გაასაჩივრა 2006წ. 19 სექტემბრის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც არ დააკმაყოფილა თბილისის მეორე ინსტანციის სასამართლომ 2007 წ. 6 მარტს. Kjartan Ásmundsson v. Iceland (no. 60669/00, ECHR 2004 IX) საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების 35-ე და 45-ე პარაგრაფების მხედველობაში მიღებისას, სააპელაციო სასამართლომ საჩივარა, რომ 1–ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი არ უზრუნვეყოფს კონკრეტული ოდენობით პენსიის მიღების უფლების დაცვის გარანტიას. მომჩივნის იმ პრეტენზიაზე პასუხად, რომელიც მოიცავდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 2006 წ. 21 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის არ გათვალისწინებას, საოლქო საასმართლომ საჩივარა, რომ იმ გადაწყვეტილების მოქმედების ფარგლები იყო შეზღუდული და გულისხმობდა 2001 წ. 16 მარტით დათარიღებულ ცვლილებასთან დააკავშირებულ დავას პენსიის შესახებ; 2006 წ. 21 თებერვლის გადაწყვეტილება არასოდეს შეიცავდა მომჩივნის პენსიის გადახდის საკითხს 2005 წ. 23 დეკემბრის ცვლილების საფუძველზე.

32. 2007 წ. 9 ივლისს, მომჩივანმა საკასაციო წესით გაასაჩივრა 2007წ. 6 მარტის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. სხვა არგუმენტებს შორის, განცხადებელი, საქმეზე Zielinski and Pradal and Gonzalez and Others v. France([GC], nos. 24846/94 და 34165/96 დაყრდნობით, ამტკიცებდა, რომ საკანონმდებლო ჩარევა, რომელმაც იმოქმედა უკუძალის ეფექტით სამოქალქო უფლებაზე, შეუთავსებელი იყო კონვენციასთან. საკასაციო სარჩელის მისაღებობის განსამტკიცებლად, მომჩივანმა 2006 წ. 21 თებერვლის სასამართლო გადაწყვეტილება შეადარა 2007 წ. 6 მარტის მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და მიუთითა, რომ ორმა გადაწყვტილებამ ანალოგიური დავა გადაჭრა განსხვავებულად და აგრეთვე მომჩივანმა საჩივარა, რომ მისი საკასაციო სარჩელის განხილვა საქმის არსებითი

მხარესთან მიმართებაში იყო საჭირო შიდა პრეცენდენტული სასამართლოს განვითარებითვის.

33. 2007 წ. 10 ოქტომბერს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სასამართლო კოლეგიამ, რომელიც შედგებოდა მოსამართლე ს–გან (იხ. ზემოხსენებული §§ 24 და 25) და სხვა ორი მოსამართლისგან, რომლებიც არ მონაწილეობდნენ მომჩივნის პენსიის შესახებ პირველი დავის განხილვის დროს, გამოიტანა გადაწყვეტილება 2007 წ. 9 ივლისის საკასაციო სარჩელის დაუშვებლობის შესახებ. გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე, წერილობითი პროცედურით. საკასაციო ინსტანციის სასამართლომ, მხედველობაში არ მიიღო რა მომჩივნის საკასაციო არგუმენტები, საჩივარა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისი დებულებით გათვალისწინებული მისაღებობის არცერთი პირობა არ იყო დაკმაყოფილებული.

34. მომჩივანმა შემდგომში მოითხოვა 2007 წ. 10 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422§1(ა) მუხლის საფუძველზე. მან გამოხატა პრეტენზია იმის შესახებ, რომ მოსამართლე ს.–ს არ უნდა მიეღო მონაწილეობა 2007 წ. 9 ივლისის საკასაციო სარჩელის განხილვაში, იმდენად რამდენადაც, მან უკვე გამოხატა თავისი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით, ეს კი წარმოშობდა მისი აცილების ან თვითაცილების საფუძველს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31§ 1 (დ) და 32 მუხლების საფუძველზე.

35. 2007 წ. 26 დეკემბრის საბოლოო გადწყვეტილებაში უზენაესმა სასამართლოს მიიჩნია დაუსაბუთებლად მომჩივნის თხოვნა გაუქმებულიყო სადავო გადაწყვეტილება. ის ფაქტი, რომ მოსამართლემ გამოხატა საწინააღმდეგო აზრი 2006 წ. 21 თებერვლის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს აზრით, არ შეიძლება წარმოადგენდეს მომჩივნის საქმის მიმართ აშკარა თუ ფარული დაინტერესების შესახებ მტკიცებულებას.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

ა. სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსები შესაბამის პერიოდში მოქმედი რედაქციით.

36. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებები იკითხება შემდეგნაირად:

მუხლი 29. საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებითი მონაწილეობის დაუშვებლობა

1. მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის პირველი ინსტანციით განხილვაში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის ან/და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

2. მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის ან/და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

3. მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ან/და პირველი ინსტანციის სასამართლოში.

მუხლი 31. მოსამართლის აცილების საფუძვლები

1. მოსამართლემ არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის:

დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში

მუხლი 32. თვითაცილება

აცილების საფუძვლების არსებობისას მოსამართლე ვალდებულია საჩივაროს თვითაცილება. თვითაცილების შესახებ მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელშიც უნდა მიეთითოს თვითაცილების საფუძველი

მუხლი 422. განცხადება გადაწყვეტილების (გადაწყვეტილების) ბათილად ცნობის შესახებ

1. კანონიერ ძალაში შესული და სავალდებულო გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება) დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ:

ა) გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში;

37. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–7 მუხლი იკითხება შემდეგნაირად:

მუხლი 7. საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებით მონაწილეობის დაუშვებლობა

„მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვაში, თუ იგი ამ საქმესთან დაკავშირებით ადრე მონაწილეობდა ადმინისტრაციულ წარმოებაში.“

ბ. 1996 წ. 29 ოქტომბრის კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“

38. 47(1) მუხლი იკითხება შემდეგნაირად:

1. ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით.

გ. 2005 წ. 27 დეკემბრის კანონი „სახელმწიფო კომპენსაციის შესახებ“

39. სახელმწიფო კომპენსაციის შესახებ აღნიშნულმა კანონმა, რომელიც ძალაში შევიდა 2006 წ. 1 იანვარს, გააერთიანა ერთი სამართლებრივი რეგულირების ქვეშ პენსიების გაცემა საპენსიო ასაკის სახელმწიფო მოხელეთათვის, იმ პირების ჩათვლით, რომელთაც ადრე გააჩნდათ განსხვავებული სტატუსი და მათ დაუნიშნა სამისდღეშიო პენსია, ოდენობით, რომლის მუდმივი ცვლილება მოხდებოდა შესაბამის პოზიციებზე (როგორიცაა პენსიაში გასული პროკურორები, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი პირები, და პარლამენტის ყოფილი

წევრები) არსებულ სახელმწიფო მოხელეთა სახელფასო შკალის ცვლილებების შესაბამისად.

40. ამ კანონის მე–7 მუხლით დადგინდა სახელმწიფო კომპენსაციის მაქსიმალური ოდენობა ყველა საპენსიო ასაკის სახელმწიფო მოხელეთათვის, მათი ნამსახურობის წლებისა და საჯარო სამსახურის ტიპისგან მიუხედავად, და განისაზღვრა 560 ლარი (260 ევრო).

დ. 1997 წ. 13 ივნისის კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ“

41. ამ კანონის შესაბამისი დებულებები იკითხება შემდეგნაირად:

მუხლი 8 (4)

„სახელმწიფო ბიუჯეტში საერთო სასამართლოებისათვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ მოსამართლეთა კონფერენციის თანხმობით.“

მუხლი 8 (2)

„დაუშვებელია მოსამართლის ხელფასის შემცირება მისი უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში.“

ე. 1996 წ. 25 ივნისის კანონი „უზენაესი სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“

42. ამ კანონის შესაბამისი დებულება იკითხება შემდეგნაირად:

მუხლი 8. (2005წ. 23 დეკემბრის ცვლილების შესაბამისად)

„დაუშვებელია უზენაესი სასამართლოს წევრისათვის ფულადი გასამრჯელოსა შემცირება მისი უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში.“

ვ. უზენაესი სასამართლოს წევრთა ხელფასის მატება და უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის შემადგენლობა 2006 წ. 1-ლი იანვრის მდგომარეობით

43. 2005წ. 23 დეკემბერს, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ კანონი იქნა მიღებული, რომლითაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შრომის ანაზღაურების ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი განისაზღვრა 3.000 ლარის ოდენობით (1.378 ევრო). კანონი ძალაში შევიდა 2006 წ. 1-ლ იანვარს.

44. ამ კ ანონის 2007 წ. 20 ივნისის ცვლილებით უზენაესი სასამართლოს მომსამართლის შრომის ანაზღაურების ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს

განაკვეთი გაიზარდა და მიაღწია 3.100 ლარს (1.424 ევრო). 2007 წ. 28 დეკემბრის ცვლილების მიხედვით სარგო გაიზარდა 4.200 ლარამდე (1.929 ევრო).

45. საბოლოოდ, 2008 წ. 19 დეკემბრის შემდგომმა ცვლილებამ, რომელიც ჯერ კიდევ ძალაშია, დაადგინა 4.400 ლარი (2.020 ევრო) უზენაესი სასამართლოს მოსამართლისთვის.

46. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, რომელიც იყო ყველაზე მაღალი საკასაციო ინსტანციის სასამართლო ყველა სახის სამართალწარმოებისთვის ადმინისტრაციულ დავებთან მიმართებაში, შედგებოდა ექვსი მოსამართლისგან მომჩივნის პენსიასთან დაკავშირებული დავის განხილვის დროს.

ზ. ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ

47. აღნიშნული ქარტია მიღებულ იქნა ევროპაში მოსამართლეთა სტატუსთან დაკავშირებულ მეორე მრავალმხრივ შეხვედრაზე, რომელიც ორგანიზებულ იქნა ევროპის საბჭოს მიერ, სტრასბურგში, 1998 წ. 8-10 ივლისს. მისი შესაბამის ინაწილები შემდეგნაირად იკითხება:

“ 1. ზოგადი პრინციპები

ქარტია მიზნად ისახავს, უზრუნველყოს კომპეტენტურობა, დამოუკიდებლობა და მიუერძოებლობა, რომელსაც თითოეული ადამიანი ლეგიტიმურად ელის სასამართლოებისა და თითოეული მოსამართლის მხრიდან, რომლებსაც მინდობილი აქვთ მათი უფლებების დაცვა. ის გამორიცხავს ნებისმიერ დებულებასა და პროცედურას, რომელიც ჩაანაცვლებდა ხსენებულ კომპეტენტურობას, დამოუკიდებლობასა და მიუკერძებლობას. წინამდებარე ქარტია შეიცავს ქვემოთ მოცემულ დებულებებს, რომლებსაც ყველაზე ეფექტურად შეუძლიათ დასახული მიზნების რეალიზაციის უზრუნველყოფა. აღნიშნულ დებულებათა მიზანია სხვადასხვა ევროპულ სახელმწიფოებში გარანტიის დონის ამაღლება. ისინის ვერ ჩაანაცვლებენ ეროვნულ დონეზე არსებულ წესდებებს, თუკი აღნიშნული გამოიწვევდა ეროვნულ დონეზე უკვე მიღწეული გარანტიის დონის დაქვეითებას.

6. ანაზღაურება, სოციალური დაცვა

6.4. იმ მოსამართლეთათვის, რომლებმაც საკუთარი პროფესიული მოვალეობის საფუძველზე, გარკვეული დროის განმავლობაში შეასრულეს სამსახურეობრივი უფლებამოსილება და მიაღწიეს კანონით დადგენილ, უფლებამოსილების შეწყვეტის ასაკს, წესდება განსაკუთრებით უზრუნველყოფს პენსის დანიშვნას, რომლის ოდენობაც, რაც შეიძლება მიახლოვებული უნდა იყოს მათი საქმიანობის დროინდელი ბოლო ხელფასის ოდენობასთან.“

სამართალი

I. კონვენციის მე-6 (§1) მუხლის სავარაუდო დარღვევა

48. მომჩივანმა პრეტენზია გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ მომსამართლე ს.–ს მონაწილეობამ პენსიასთან დაკავშირებული მეორე საქმის განხილვის დროს დაარღვია კონვენციის მე-6 (§1) მუხლით გათვალისწინებული მიუკერძოებლობის პრინციპი. აღნიშნული დებულების თანახმად;

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ... მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ."

ა. მისაღებობა

49. სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნული პრეტენზია არ არის დაუსაბუთებელი კონვენციის 35§3 (ა) მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში. როგორც სასამართლო შემდეგში განმარტავს, ის არ არის დაუშვებელი ყველა საფუძველზე. შესაბამისად, ის უნდა გამოცხადდეს დასაშვებად.

ბ. არსებითი მხარე

1. მხარეთა არგუმენტები

50. მთავრობამ საჩივარა, რომ თავად ის ფაქტი, რომ მოსამართლე ს. იყო საქართველოს უზენაესი სასამართლო კოლეგიის წევრი, რომელიც განიხილავდა მომჩივნის ორ განსხვავებულ საქმეს, შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, არ წარმოშობს მეორე განხილვიდან მოსამართლის თვითაცილების დაყენების საფუძველს. პენსიის შესახებ ორი განსხვავებული დავა უკავშირდება სხვადასხვა ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ საკითხებს და შესაბამისად, არ შეიძლება იქნას განხილული როგორც ერთი განგრძობადი საქმე. ის ფაქტი, რომ მოსამართლეს ჰქონდა მსგავსი დამოკიდებულება ზოგადად საკითხთან მიმართებაში ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სამართალწარმოების დროს, არ არის საკმარისი საფუძველი იმის სათქმელად, რომ მას გააჩნია პირადი ინტერესი მეორე სამართალწარმოების შედეგის დადგომის მხრივ.

51. პასუხად, მომჩივანმა აღნიშნა, რომ მიუკერძოებლობის პრინციპი დაირღვა პენსიის შესახებ მეორე საქმის განხილვისას მოსამართლე ს.–ს მონაწილეობით, რაც უკავშირდება 2005 წ. 23 დეკემბრის ცვლილებას, იმ ფაქტის საფუძველზე, რომ მან უკვე გამოხატა თავისი აზრი იგივე ცვლილებასთან დაკავშირებით პირველი საქმის განხილვის დროს.

2. სასამართლოს შეფასება

52. სასამართლომ კვლავ აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-6 (§1) მუხლი მოითხოვს სასამართლოსგან იყოს მიუკერძოებელი. მიუკერძოებლობა განაპირობებს არასამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილებით მიყენებული ზიანის არიდებას ან საქმის განხილვის დროს კერძო დაინტერესების არარსებობას. საამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მოსამართლის მიუკერძოებლობის არსებობის ან არარსებობის შესახებ სუბიექტურ ტესტზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს კონკრეტული მოსამართლის პირადი შეხედულებასა ან ინტერესს მოცემული საქმის დროს, და ობიექტურ გამოცდაზე დაყრდონოთ, რაც მოიცავს იმის გარკვევას, შესთავაზა თუ არა მოსამართლემ საკმარისი გარანტიები ამ თვალსაზრისით ლეგიტიმური ეჭვის გამოსარიცხად (იხ., მაგალითად, Kyprianou v. Cyprus[GC], no. 73797/01, § 118, ECHR 2005 XIII). იმის გადასაწყვეტად, არის თუ არა მოცემულ შემთხვევაში სამართლიანი საფუძველი შიშისთვის რომ ეს მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული, მხარის პოზიცია არის მნიშვნელოვანი, მაგრამ არა გადამწყვეტი. გადამწყვეტი არის ის, ეს შიში არის თუ არა ობიექტურად გამართლებული. ამ თვალსაზრისით, გარეგნულ ნიშნებს აქვს გარკვეული მნიშვნელობა. ამ დროს საფრთხის ქვეშ არის ნდობა, რომელიც სასამართლოს დემოკრატიულ საზოგადოებაში გააჩნია საზოგადოებისა და სამართალწარმოებაში ჩართულ მხარეების წინაშე. (იხ. Kleyn and Others v. the Netherlands[GC],nos. 39343/98, 39651/98, 43147/98 and 46664/99, §§ 191 and 194, ECHR 2003 VI).

53. მოცემულ საქმესთან მიმართებაში, სასამართლო აღნიშნავს, რომ შესაბამისი სუბიექტური გამოცდის დროს, იყო მოსაზრება მოსამართლე ს.–ს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის, მიუკერძოებლობის სასარგებლოდ მის როლთან მიმართებაში პენსიის შესახებ მომჩივნის დავის განხილვის პროცესში (იხ., მაგალითად, Indra v. Slovakia, no. 46845/99, §§ 49 and 50, 1 February 2005). ის ფაქტი, რომ მოსამართლე ს.-მ გამოხატა განსხვავებული, საწინააღმდეგო აზრი პენსიის შესახებ მომჩივნის პირველი საქმის განხილვის დროს არ შეიძლება იქნას მიჩნეული სასამართლოს მხრიდან, როგორც მომჩივნის წინააღმდეგ რაიმე პერსონალური ინტერესის წარმოშობისთვის საკმარის მტკიცებულებად მეორე საქმის განხილვისას.

54. ობიექტურ გამოცდასთან დაკავშირებით, სასამართლომ დაეთანხმა რა მთავრობის არგუმენტებს, მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ პენსიის შესახებ მომჩივნის ორი დავა მიუხედავად იმისა, რომ თემატურად დაკავშირებული იყო ერთმანეთთან, არ შეიძლება იქნას მიჩნეული როგორც „იგივე საქმე“ ან „იგივე გადაწყვეტილება“ (იხ. Kleyn and Others, cited above, §200), ვინაიდან ისინი ეხება განსხვავებულ ფაქტობრივ გარემოებებს და კანონდებულებებს. უფრო მეტიც, თუ მხედველობაში მივიღებთ მოსამართლეთა შეზღუდულ რაოდენობას უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (იხ. §46), ხშირად გარდაუვალი და ბუნებრივია ის ფაქტი, რომ ერთიდაიგივე მოსამართლე იყოს ჩართული ისეთი საქმის განხილვაში, რომლის შესახებაც მან უკვე გამოხატა თავისი აზრი წინა მსგავს, მაგრამ არადაკავშირებული სამართალწარმოების დროს საკასაციო დონეზე. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ მოსამართლე ს. ჩართული იყო პენსიის შესახებ მომჩივნის ორივე მსგავს, მაგრამ ერთმანეთთან არადაკავშირებული დავის

განხილვის პროცესში, პირველი შემთხვევაში იყო რა უმცირესობაში და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში აღმოჩნდა უმრავლესობაში, ობიექტური თვალთახედვიდან არ ამართლებს მომჩივნის ეჭვს, რომ მოსამართლე გახდა მიუკერძოებელი მეორე საქმის განხილვის დროს.

55. აქედან გამომდინარე, კონვენციის მე-6 (§1) მუხლის დარღვევას მიუკერძოებელ სასამართლოსთან მიმართებაში ადგილი არ ჰქონია.

II. I დამატებითი ოქმის 1–ლი მუხლის სავარაუდო დარღვევა

56. მომჩივანმა გამოხატა პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ 2005წ. 23 დეკემბრის ცვლილებამ *ex post facto* მას პენსიის მიღების უფლება წაართვა უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის 36-ე მუხლის საწყისი ვერსიის ცვლილების პუნქტის თანახმად, რაც I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას წარმოადგენს. აღნიშნული მუხლი შემდეგნაირად იკითხება:

„ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისთვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა დასაერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.“

ა. მისაღებობა

57. მთავრობამ საჩივარა, რომ მომჩივანმა არ ამოწურა მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებები კონვენციის 35§1 მუხლის თანახმად. მისი განცხადებით, მომჩივანს უნდა მიემართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის და მოეთხოვა, რომ 2005 წ. 23 დეკემბრის სადავო ცვლილება ბათილად ეცნო, როგორც არაკონსტიტუციური.

58. მომჩივანი არ დაეთანხმა.

59. სასამართლო კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ საქართველოში ინდივიდუალური სარჩელის შეტანა წარმოადგენს მიმართვის არაეფექტურ შიდასამართლებრივ საშუალებას, კონვენციის 35-ე მუხლის მიზნებისთვის, რაც ძირითადად განპირობებულია საკონსტიტუციო სასამართლოს უუნარობით, ბათილად ცნოს სახელმწიფო ორგანოების ან სასამართლოს მიერ მიღებული ერთპიროვნული გადაწყვეტილებები, რაც პირდაპირ ლახავს მოსარჩელის უფლებებს (იხ. Apostol v. Georgia, no. 40765/02, §§ 41-47, ECHR 2006 XIV).

60. შესაბამისად, სასამართლო, არ აკმაყოფელებს რა მთავრობის პრეტენზიას მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არ-ამოწურვასთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზია არ არის დაუსაბუთებელი კონვენციის 35§3 (ა) მუხლის მნიშვნელობის

ფარგლებში. სასამართლო შენიშნავს, რომ პრეტენზია არ არის დაუშვებელი. ის უნდა იქნეს მიჩნეული დასაშვებად.

ბ. არსებითი მხარე

1. მხარეთა არგუმენტები

(ა) მთავრობა

61. დასაწყისისთვის, მთავრობამ ზოგადად მომოიხილა ქართული სოციალური დაცვის სისტემა. სისტემა, როგორც საბჭოთა ეპოქის მცირე შემადგენელი ნაწილი, დაფუძნებული იყო უფრო სოლიდარობის, ვიდრე თანამშრომლობის პრინციპზე, რომლის შედეგადაც მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან მოქმედების თავისუფლება პენსიათა სპეცილური ოდენობის რეგულირებისა და დადგენის საკითხში იყო განსაკუთრებით დიდი. მთავრობამ შემდეგში საჩივარა, რომ სოციალური დაცვის სისტემის ძირითადი რეფორმა დაიწყო საქართველოში ბოლო რამოდენიმე წელია. ეს პროცესი მოითხოვდა ფინანსური პოლიტიკის კოპლექსურ დაგეგმვას, სახელმწიფო ბიუჯეტის პოტენციალის მხედველობაში მიღებას და სხვა მრავალრიცხოვანი ფაქტორების ზუსტ შესწავლას, გადასახადის გადამხდელთათვის დამატებითი მძიმე ვალდებულების დაკისრების თავიდან აცილების საჭიროების ჩათვლით.

62. მთავრობამ განმარტა, რომ ცვლილების პუნქტი, როგორც ეს მოპასუხე სახელმწიფოს მიერ დასაწყისში იყო განსაზღვრული, მიზნად ისახავდა კეთილდღეობის სპეციალური სტანდარტის უზრუნველყოფას განსაკუთრებული დამსახურების მქონე პირებისთვის მათი მხრიდან ქვეყნისთვის გაწეული სამსახურის გამო, ამ პირებს შორის იყვნენ საქართველოს უზენაესის სასამართლოს წევრები. მთავრობამ აღნიშნა, რომ მსგავსი პუნქტის შემოღების დროს საჯარო სექტორში ხელფასები, რომლის შესაბამისად უნდა დანიშნულიყო სამისდღეშიო პენსია, იყო ძალიან დაბალი. აქედან გამომდინარე, ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, მთავრობამ საჩივარა, რომ საშუალო ყოველთვიური ხელფასი საჯარო სექტორში იმ დროისთვის მიახლოებით უტოლდებოდა 85 ლარს (39 ევრო). თუმცა, რამოდენიმე წლის შემდეგ, ხელფასები გაიზარდა მნიშვნელოვნად. 2004 წლისთვის საშუალო ხელფასმა საჯარო სექტორში მოიმატა და შეადგინა 192 ლარი (88 ევრო), და 2008 წელს ის იყო 870 ლარი (399 ევრო).

63. სახელმწიფოს, რომელიც იდგა საბიუჯეტო დეფიციტს წინაშე საჯარო სექტორში ხელფასის მატების გამო ან უნდა შეენარჩუნებინა მატების შედეგად გამოწვეული პენსიის ზრდა სპეციალური კატეგორიის პირებისთვის, მაშინ როცა მეორეს მხრივ, სოციალურად დაუცველი ნაწილის კატეგორია უნდა დაეტოვებინა მიზერული პენსიით, ან დაენიშნა სამართლიანი და შესაბამისი პენსია სპეციალუი კატეგორიისთვის, როდესაც იწყებდა პენსიის თანდათანობით, მაგრამ მყარ ზრდას

ჩვეულებრივი საპენსიო ასაკის მოქალაქეებისთვის. შერჩეულ იქნა მეორე ვარიანტი. მთავრობამ დამატებით განმარტა, რომ დამატებით საპენსიო ასაკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა სამისდღეშიო და ცვლილებადი პენსიის 1.200 ლარამდე (551 ევრო) შემცირებისა, ნაბიჯი, რომელიც შეეხო მთლიანობაში 21 პირს, მოპასუხე სახელმწიფომ, 2005 წ. 27 დეკემბერს, აგრეთვე პარალელურად მიიღო ახალი კანონი სახელმწიფო კომპენსაციის შესახებ (იხ. §§ 39 და 40), რომელმაც შეწყვიტა პენსიის ცვლილების იგივე პრინციპის გამოყენება 850 პენსიაში გასული მოსამსახურეებისთვის (თავდაცვისა და შს სამინისტროების ხელმძღვანელი პირები) (191 პირი), ყოფილი პროკურორები, (98 პირი) და პარლამენტის ყოფილი წევრები (561 პირი).

64. თუმცაღა, ცვლილების პუნქტის გაუქმების მიუხედავად, სახელმწიფომ შეინარჩუნა სპეციალური სამისდღეშიო პენსიის ზოგადი იდეა დამსახურებული პირებისთვის, დაადგინა რა სამართლიანი მაქსიმალური ოდენობა, რომელიც, საკმაოდ შორს არის საშუალო ჩვეულებრივი პენსიის ოდენობისგან. კერძოდ, მომჩივნის მიმდინარე დახმარება 1.200 (551 ევრო) ლარის ოდენობით იყო თორმეტჯერ მეტი საშუალო პენსიის ოდენობაზე, რომელიც შეადგენს დაახლოებით 100 ლარს (46 ევრო). აღნიშნული ნიშნავდა, რომ მომჩივანი, უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, იქნა უზრუნველყოფილი მისი დამსახურების შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერით, და გააჩნდა გაცილებით ცხოვრების მაღალი დონე ჩვეულებრივ პენსიონერთან შედარებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფომ ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის რეფომირების პროცესში განახორციელა საკანონმდებლო ცლილებები, რომელიც გატარებული პოლიტიკის პროპროციული გახლდათ.

65. მთავრობამ აღნიშნა, რომ 2005 წ. 23 დეკემბრის ცვლილებით გაუქმდა ცვლილების პუნქტი და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს დაენიშნა პენსია 1.200 ლარის (551 ევრო) ოდენობით, ამ ცვლილებას არ წაურთმევია მოსამართლეებისთვის პენსიის მიღების უფლება, როგორც ასეთი, არამედ დაარეგულირა საკითხი ახლიდან პენსიის ოდენობის ცვლილების სახით. მთავრობამ კვლავ განმარტა, რომ სოციალური პოლიტიკის ცვლილება, შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, სახელმწიფო სტრუქტურების მიერ შეხედულების დიდი თავისუფლების პირობებში და I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მიხედვით, არანაირად არ უნდა იქნას განმარტებული როგორც პირისთვის სპეციალური პენსიის მიღების უფლება.

(ბ) მომჩივანი

66. მომჩივანმა უპასუხა, რომ იმდენად რამდენადაც ცვლილების პუნქტი პირველად გაუქმდა ჯერ კიდევ 2001 წ. 16 მარტს, რამოდენიმე წლით ადრე, ვიდრე

საჯარო სექტორში ხელფასების მომატება დაიწყებოდა 2004–2005 წლებში, ნაკლებად სავარაუდოა რაიმე კავშირის დამყარება ამ ორ მოვლენას შორის. შესაბამისად, მთავრობის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ ამ პუნქტის მოცილება აუცილებელი იყო ეკონომიის მკაცრი ზომების გასატარებლად, და მიზნად ისახავდა დამატებითი ვალდებულების დაკისრების არიდებას გადასახადის გადამხდელთათვის, როცა სახელმწიფო დანახარჯი გაიზარდა საჯარო სექტორში უფრო მაღალი ხელფასების გამო, არალოგიკურია. განცხადებლმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მთავრობის არგუმენტი საბიუჯეტო დეფიციტთან დაკავშირებით არ შეიძლება იყოს ნამდვილი მიზეზი ცვლილების პუნქტის ამოსაღებად, ვინაიდან მის შესახებ სახელმწიფომ გაახმოვანა სასამართლოს წინაშე. მსგავსი ასეთი მიზეზი არ ყოფილა მითითებული, დაახლოებითაც 2005 წ. 23 დეკემბრის ოფიციალურ განმარტებით მემორანდუმში საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ, პარლამენტში ამ ცვლილების განხილვისას ან მოპასუხე მხარის არგუმენტებში შესაბამისი შიდა სასამართლო განხილვის დროს.

67. უფრო მეტიც, ვინაიდან მხოლოდ ენსიაში გასული უზენაესი სასამართლოს 21 მოსამართლე, მომჩივნის ჩათვლით, იყვნენ შეწუხებულნი ცვლილების პუნქტის ამოღებით, მომჩივანმა მიუთითა, რომ შეუსაბამო იყო იმის გაცხადება, რომ ესეთი მცირე რაოდენობის პირებისთვის პენსიის შემცირებით მიღებულ სახსრებს შეეძლო რაიმე წვლილი შეეტანა ჩვეულებრივი პენსიონერების დაფინანსების საქმეში. ამ ორ მოვლენას შორის მიზეზ–შედეგობრივ კავშირზე უარყოფითი გავლენა მოახდინა იმ ფაქტმა, რომ ვიდრე მოხდა ცვლილების პუნქტის ამოღება 2005 წ. დეკემბერში, პენსიამ ჩვეულებრივი საპენსიო ასაკის მოქალაქეებისთვის ზრდა დაიწყო მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ, 2008 წელს. თუ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი იყო რეალური მიზეზი 21 პენსიაში გასული უზენაესის სასამართლოს მოსამართლეთა სამისდღეშიო და ცვლილებადი პენსიის გაუქმებისთვის, მომჩივანს აინტერესებდა ის ფაქტი, თუ როგორ შეიძლებოდა საკმარისად მოკლე პერიოდში უზენაესი სასამართლოს მოქმედ მოსამართლეთა ხელფასის მნიშვნელოვანი ზრდა, რომელმაც შეადგინა 4.400 ლარი (2.020 ევრო). დამატებით მტკიცებულებას წარმოადგენდა სახელმწიფო სახსრების არასამართლიანი განაწილება მოქმედ სახელმწიფო მოხელესა და პენსიაში გასულ მოსამართლეებს შორის. მომჩივანმა აგრეთვე შენიშვნა გამოთქვა მინისტრების ხელფასებთან დაკავშირებით, რომელმაც მიაღწია 5.000 ლარს (2.305 ევრო), გენერალური პროკურატურის ხელფასმა მოიმატა 4.000 ლარამდე (1.844 ევრო) და რეგიონალური პროკურორების ხელფასები განისაზღვრა 2.580 ლარით (1.190 ევრო). შესაბამისად, მომჩივანმა პრეტენზია გამოხატა, რომ მას და მის კოლეგა პენსიაში გასულ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს დაეკისრათ ზედმეტად ბევრი ვალდებულება, რაც არაშეთავსებადია პროპორციულობასთან I დამატებითი ოქმის 1–ლი მუხლის თანახმად.

68. განცხადებელმა აგრეთვე პრეტენზია გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ 2005 წ. 23 დეკემბრის ცვლილების მიღებით, რომლითაც შეწყდა ცვლილების პუნქტის გამოყენება მის შემთხვევაში, საკანონმდებლო ხელისუფლება ჩაერია უკუძალის ეფექტით მის ჯერ კიდევ დაუმთავრებელ საამართლო დავაში ფონდთან,

კანონის ერთგვაროვნების პრინციპისა და კონვენციით გათვალისწინებული კანონის უზენაესობის სხვა პრინციპების დარღვევით (მან მოიყვანა საქმე Zielinski and Pradal and Gonzalez and Others, ხსენებული ზემოთ, §53, და Smokovitis and Others v. Greece, no. 46356/99, § 34, 11 April 2002). მომჩივანმა შემდეგ მოიყვანა „მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპული ქარტიის“ დებულება, რომლის თანახმად, მოსამართლეთა სოციალური დაცვის დონე არ შეიძლება შემცირდეს, მას შემდეგ რაც მისი ოდენობის დადგენა მოხდა (იხ. §47). მომჩივანმა ამ თვალსაზრისით ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ არა მარტო მოსამართლეთა სოციალური კეთილდღეობა არის საფრთხის ქვეშ, არამედ სასამართლო სისტემის დაცვა, რათა შენარჩუნდეს მისი დამოუკიდებლობს გარე ზეწოლისგან. მომჩივანმა აგრეთვე მოიყვანა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, სხვადასხვა დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გამოთქმული აზრები, ყველა მათგანი აფრთხილებდა საქართველოს პარლამენტს, რომ ცვლილების პუნქტის ამოღება პენსიაში გასულ მოსამართლეთა საპენსიო უფლებასთან დაკავშირებით იქნებოდა შეუთავსებელი მოსამართლეთა დაცვის შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებთან და საფრთხეს შეუქმნიდა სასამართლო სისტემის სტაბილურობის, უცვლელობის და დამოუკიდებლობის გარანტიებს.

2. სასამართლოს შეფასება

(ა) ზოგადი პრინციპები

69. სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ I დამატებითი ოქმის 1–ლი მუხლი არ განსაზღვრავს გარკვეული ოდენობით პენსიის მიღების უფლებას (იხ. ზემოხსენებული Kjartan Ásmundsson, §39). თუმცა, როცა ხელშემკვრელ მხარეს აქვს მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს პენსიის ანაზღაურებას, იმისდამიუხედავად, არის თუ არა ეს პირობითი წინა გადახდების დროს– კანონმდებლობა უნდა იყოს მიჩნეული როგორც საკუთრების უფლების წარმომქმნელი, რომელიც თავსდება I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მოქმედების ფარგლებში. (იხ. Carson and Others v. the United Kingdom[GC], no. 42184/05, § 64, ECHR 2010). პენსიის შემცირება ან შეწყვეტა შეიძლება წარმოადგენდეს საკუთრების შეუფერხებელ სარგებლობაში ჩარევას, რომელიც უნდა იქნას სამართლებრივად განმარტებული. (იხ., მაგალითად, Rasmussen v. Poland, no. 38886/05, § 71, 28 April 2009).

70. პრინციპები, რომლებიც გამოიყენება ზოგადად შემთხვევებში I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე არის თანაბრად რელევანტური, როდესაც ის ეხება პენსიებს (იხ. Stummer v. Austria [GC], no. 37452/02, § 82, 7 July 2011). შესაბამისად, I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნა არის ის, რომ სახელმწიფო ორგანოს მხრიდან ნებისმიერი ჩარევა საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობაში უნდა იყოს კანონიერი და ის უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს „შედიოდეს საზოგადოებრივ

ინტერესებში“. ნებისმიერ ჩარევა უნდა იყოს პროპორციული რეალიზებად მიზანთან. სხვა სიტყვებით, “‘სამართლიანობის ბალანსი“ უნდა იქნას დაცული საზოგადოების ზოგადი ინტერესის მოთხოვნასა და პირის ფუნდამენტურ უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის. საჭირო ბალანსი არ უნდა მოიძებნოს, თუ ჩართულმა პირმა ან პირებმა უნდა აიღონ ინდივიდუალური და ზედმეტი ვალდებულება. (იხ. The Former King of Greece and Others v. Greece [GC], no. 25701/94, §§ 79 and 82, ECHR 2000-XII).

71. ვინაიდან I დამატებითი ოქმის 1–ლი მუხლი არ ზღუდავს სახელმწიფოს თავისუფლებას აირჩიოს შემწეობის სახე და ოდენობა და ის განისაზღვრება სოციალური დაცვის სქემის ფარგლებში (იხ. Stec and Others v. the United Kingdom[GC], no. 65731/01, §53, ECHR 2006-VI), აგრეთვე მნიშვნელოვანია იმის შემოწმება, რომ მომჩივნის უფლება მიიღოს სარგებელი სოციალური დაცვის სქემიდან არღვევს თუ არა მისი პენსიის მიღების უფლების შინაარსს. (იხ. Wieczorek v. Poland, no. 18176/05, §57, 8 December 2009). დამატებით, ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც ამცირებს მოსახლეობის შესაბამისი ნაწილისთვის ანაზღაურებად პენსიის ოდენობას, უნდა იქნას გატარებული არადისკრეციული გზით. (იხ. Lakićević and Others v. Montenegro and Serbia, nos. 27458/06, 37205/06, 37207/06 and 33604/07, § 59, 13 December 2011).

(ბ) ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

(i) მომჩივნის საკუთრების სარგებლობაში ჩარევა

72. ამ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლომ მიიჩნევს, რომ მომჩივნის უფლება, მიიღოს ხელფასის სრული ოდენობით სამისდღეშიო პენსია, რომლის ცვლილება მოხდება უზენაესი სასამართლოს მოქმედ მოსამართლეთა ხელფასში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის 36-ე მუხლის საწყისი ვერსიის თანახმად, ვინაიდან ის დებულება მოქმედებდა მომჩივნის პენსიაში გასვლის დროს, 2000 წ. 4 მაისს, წარმოშობს საკუთრების უფლებას I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე (იხ., მაგალითად, Stec and Others v. the United Kingdom (dec.), no. 65731/01 and 65900/01, § 39 ECHR 2005-X). უფრო მეტიც, ცვლილების შესახებ მოთხოვნის შემდგომი შეწყვეტა 2006 წ. 1-ლი იანვრიდან, რომლის შედეგადაც მომჩივანმა ვერ შეძლო პრეტენზია განეცხადებინა უფრო მაღალ პენსიაზე მოქმედი უზენაესი სასამართლოს მოქმედ მოსამართლეთა ხელფასის მატების მიუხედავად - საკანონმდებლო ცვლილება, რომელმაც აშკარად შეამცირა მომჩივნის პენსიის მიღების უფლების საწყისი მასშტაბი, უნდა იქნას მიჩნეული, როგორც ჩარევა მისი საკუთრების შეუფერხებელ სარგებლობაში. შესაბამისად, აღნიშნული ჩარევა საჭიროებს მის სამართლებრივ განმარტებას „კანონიერების“, „საზოგადოებრივი ინტერესისა“ და „პროპორციულობის“ პრინციპებით, რომელსაც შეიცავს I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი. (იხ., მაგალითად, Lakićević and Others, cited above, § 59).

(ii) ჩარევის კანონიერება

73. სასამართლო შენიშნავს, რომ მომჩივნის პრეტენზია საკანონმდებლო ჩარევასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ მიმდინარე სასამართლო განხილვის დროს, რომელიც პენსიის მიღების უფლებას ეხება (იხ. §68) არის არასწორად გაგებული. 2005 წ. 23 დეკემბრის ცვლილების მიღებისას, პენსიის შესახებ მომჩივნის პირველი დავა, რომელმაც ეჭვის ქვეშ დააყენა 2001 წ. 16 მაისის ცვლილების კანონიერება, ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. (შეად. Torri and Others v. Italy (dec.), nos. 11838/07 and 12302/07, 24 January 2012). უნდა იქნას აღნიშნული, რომ პირველი დავა გადაწყდა მომჩივნის სასარგებლოდ უზენაესი სასამართლოს 2006 წ. 21 თებერვლის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე. ეს იყო ამის შემდეგ, როცა შესაბამისმა დეპარტამენტმა დაიწყო პენსიის ახალი სქემის განხოციელება 2005 წ. 23 დეკემბრის სადავო ცვლილების მიხედვით, და მომჩივანმა შეიტანა მეორე სარჩელი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რაც არ იყო დაკავშირებული პენსიასთან დაკავშირებულ წინა სამართალწამოებასთან (იხ. §§ 11 და 26–29).

74. ზემოხსენებული მომჩივნის პრეტენზია, რომლითაც სადაო ხდება 2005 წ. 23 დეკემბრის ცვლილება, შეიძლება იქნას გაგებული როგორც წინააღმდეგობის გაწევის მცდელობა შიდა სასამართლოს ზოგად ინტერპრეტაციასთან პენსიასთან დაკავშირებული პირველი დავის განხილვისას, რაც უკავშირდება შესადარებელ ნორმატიულ აქტებს უკუძალით ეფექტით, სასამართლომ უკვე გამოიტანა გადაწყვეტილება წინა შემთხვევების დროს, რომლითაც განმარტა, რომ პენსიის სამართლებრივი რეგულირება ექვემდებარება ცვლილებას, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება ვერ აიცილებს თავიდან მოახდინოს რეგულირება ახალი უკუძალის მქონე დებულებების საშუალებით, მოქმედი კანონმდებლობიდან წარმოქმნილი პენსიის მიღების უფლება და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება შესაბამის საკითხზე ვერ იქნება სამართლებრივად გამოყენებული როგორც დამცავი საშუალება მიმართული მსგავსი ცვლილებების წინააღმდეგ მომავალში (იხ. mutatis mutandis, Arras and Others v. Italy, no. 17972/07, § 42, 14 February 2012; see also Sukhobokov v. Russia, no. 75470/01, § 26, 13 April 2006).

75. აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ მომჩივნის პენსიის მიღების უფლებებში ჩარევა, რომელიც განხორციელდა ზუსტად ფორმულირებული 2005 წ. 23 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე არ წარმოადგენდა თვითნებობას, როდესაც მისი გამოყენება მოხდა შესაბამისი შიდა სტრუქტურების მიერ (იხ. Torri and Others, cited above, §42, and Moskal v. Poland, no. 10373/05, §56, 15 September 2009) და აკმაყოფილებდა I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის კანონიერების დაცვის შესახებ მოთხოვნას.

(iii) ჩარევის ლეგიტიმური მიზანი და პროპორციულობა

76. სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფო სტრუქტურებმა უკეთესად იციან თავისი საზოგადოების საჭიროებები და შეუძლიათ საერთაშორისო მოსამართლეზე უკეთესად განსაზღვრონ რა შედის „საზოგადოებრივ ინტერესებში“ და ეს გაგება განსაკუთრებით ფართო მნიშვნელობას ატარებს, როდესაც სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება საფრთხის ქვეშ არის, სასამართლოსთვის მისაღებია მთავრობის არგუმენტი, რომ 2005 წ. 23 დეკემბრის ცვლილება, რომლის ძალაში შესვლის დღიდან ამოღებულ იქნა ცვლილების პუნქტი უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის 36-ე მუხლიდან, ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს შეენარჩუნებინა სახლემწიფო ბიუჯეტის მდგრადობა და მოეხდინა სახელმწიფო ხარჯების რაციონალიზაცია. (იხ. mutatis mutandis,Panfile v. Romania (dec.), no. 13902/11, 20 February 2012; Šulcs v. Latvia (dec.), no. 42923/10, §§ 25and 29, 6 December 2011; Leinonen v. Finland (dec.), no. 33898/96, 7 June 2001; Moskal, cited above, § 61;and Arras and Others, cited above, §81).

77. იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა მოცემულ შემთხვევაში ჩარევა პროპორციული ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებაში, სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო გადაწყვეტილება დაენიშნა მომჩივნისთვის სამისდღეშიო პენსია მისი ხელფასის სრული ოდენობით და აგრეთვე მოეხდიან მისი ცვლილება მოქმედ მოსამართლეთა ხელფასის მატების შესაბამისად იყო მომჩივნის დამსახურების საჯარო აღიარება, მის, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მიერ ქვეყნისთვის გაწეული სამსახურის გამო. სასამართლო აღნიშნავს, რომ ვიდრე ცვლილების მოთხოვნა შეწყდებოდა, 2005 წ. 23 დეკემბრის ცვლილებამ უფლება მისცა განცხადებლს მიეღო თახნა 1.200 ლარის ოდენობით (551 ევრო). მნიშვნელოვანია რომ მომჩივნის საპენსიო დახმარების ახალი ოდენობა ოდნავ აჭარბებდა პენსიაში გასვლამდე მისი საბოლოო ხელფასის ოდენობას (იხ. ზემოხსენებული §7). მომჩივნის პენსიის საწყისი ექვივალენტური მოთხოვნა, მთავრობის არგუმენტის თანახმად, გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე საშუალო პენსია საქართველოში, შესაბამისად, სპეციალური, უფრო კარგი კეთილდღეობის სქემის შესახებ იდეა მოქმედებდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთათვის. სასამართლო მიიჩნევს, რომ 2005 წ. 23 დეკემბრის ცვლილებამ არ გააუარესა მომჩივნის საპენსიო დახმარების სარგებელის შინაარსი, ვინაიდან ის დასაწყისშივე იქნა განხილული მოპასუხე სახელმწიფოს მიერ (contrast, for instance, Lakićević and Others, cited above, §72, andKjartan Ásmundsson, cited above, §45).

78. სასამართლო აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონში შეტანილი 2005 წ. 23 დეკემბრის ცვლილება არ იყო იზოლირებული ერთი სამართლებრივი ცვლილება, არამედ შეადგენდა საპენსიო ასაკის სახელმწიფო მოხელეებისთვის საპენსიო სისტემის უფრო ფართო საკანონმდებლო რეფორმის ნაწილს. კერძოდ, პარალელურად მიღებული კანონით სახელმწიფო კომპენსაციის შესახებ შეწყდა პენსიების ცვლილების მუხლის გამოყენება 850 პენსიაში გასული სახელმწიფო მოხელისთვის (იხ. §§ 39, 40 და 62). შესაბამისად, არ შეიძლება ითქვას, რომ საპენსიო ასაკის სახელმწიფო მოხელეთა პენსიის საერთო რეფორმამ დააკისრა

მომჩივანს, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მცირე ჯგუფის წარმომადგენელს, ინდივიდუალური და ზედმეტი ვალდებულება.

79. სასამართლო მხედველობაში იღებს რა მოპასუხე სახელმწიფოს მოქმედების დიდ თავისუფლებას, რომელიც უკავშირდება საფრთხის ქვეშ მყოფი უფლებების დაბალანსებას ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას კომპლექსური გარდამავალი პროცესების დროს, როდესაც სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს საზოგადოების ფენის ყველა ინტერესი (იხ., მაგალითად, Frimu and Others v. Romania (dec.), nos. 45312/11, 45581/11, 45583/11, 45587/1 and 45588/11 7 February 2011;Maggio and Others v. Italy, nos. 46286/09, 52851/08, 53727/08, 54486/08 and 56001/08, § 63, 31 May 2011; Lenz v. Germany (dec.), no. 40862/98, ECHR 2001 X; and also Šulcs, cited above, § 26), ასკვნის, რომ ცვლილების მოთხოვნის შეწყვეტა მომჩივნის პენსიის სპეციალურ დახმარებასთან დაკავშირებით არ იყო არაპროპროციული ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებაში.

80. მოცემულ შემთხვევაში, I დამატებითი ოქმის 1–ლი მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია

III. კონვენციის სხვა სავარაუდო დარღვევები

81. მომჩივნმა გამოხატა პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოს მხრიდან შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის არასწორმა წაკითხვამ და გამოყენებამ პენსიის შესახებ მისი მეორე დავის დროს გამოიწვია მისი უფლებების დარღვევა კონვენციის მე-6 (§1) და მე-14 მუხლების საფუძველზე.

82. თუმცაღა, ყველა მის ხელთ არსებული მასალის საფუძველზე და ამ საკითხებთან დაკავშირებით კომპეტენციის ფარგლებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მან ვერ აღმოაჩინა კონვენციითა და ოქმებით განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლების დარღვევის ნიშნები. საჩივრის ეს ნაწილი არის აშკარად დაუსაბუტებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს კონვენციის 35 (§§ 3 "ა" და 4) მუხლების თანახმად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო,

1. ერთხმად *აცხადებს დასაშვებად* კონვენციის 6 (§1) მუხლისა და I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის თანახმად წამოყენებულ პრეტენზიებს, რომლებიც შესაბამისად, უკავშირდება მოსამართლე ს.-ს მონაწილეობას მომჩივნის საქმის განხილვაში და და მისი პენსიის ოდენობას და საჩივრის დანარჩენ ნაწილს - დაუშვებლად;

2. *ადგენს* ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ კონვენციის 6 (§1) მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია;

3. *ადგენს* ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

შესრულებულია ინგლისურად და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2012 წ. 19 ივნისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე (§§ 2 და 3) მუხლების შესაბამისად.

სანტიაგო კესადა
სექციის განმწესრიგებელი

ჯოზეპ კასადევალი
თავჯდომარე

კონვენციის 45§2 მუხლისა და რეგლამენტის 74§2 მუხლის თანახმად, წინამდებარე გადაწყვეტილებას თან ერთვის მოსამართლე *გულუმიანის* გასხვავებული აზრი.

მოსამართლე გულუმიანის გასხვავებული აზრი

მე არ ვიზიარებ უმრავლესობის აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მომჩივნის უფლებები კონვენციის მე-6 (§1) მუხლისა და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის თანახმად არ დაირღვა მოცემულ შემთხვევაში.

1. მომჩივანი, რომელიც იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, პენსიაში გავიდა საპენსიო ასაკის დადგომისას და დაენიშნა პენსია საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის 36-ე მუხლის შესაბაბისად, რომელიც მიღებულ იქნა 1999 წ. 12 მაისს, რომლის თანახმად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს ენიშნება სამისდღემშიო პენსია მისი ხელფასის სრული ოდენობით და პენსიის ოდენობის ცვლილება მოხდება უზენაესი სასამართლოს მოქმედ მოსამართლეთა ხელფასის ცვლილების შესაბამისად. უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის 36-ე მუხლი შემდგომში რამდენჯერმე შეიცვალა.
მომჩივანმა ორი განსხვავებული სარჩელი შეიტანა სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლითაც სადავო გახადა 2001 წ. 16 მარტის ცვლილების გამოყენების კანონიერება, რომლის თანახმად ცვლილების მოთხოვნასთან დაკავშირებული მეორე პუნქტი ამოღებულ იქნა და აგრეთვე 2005 წ. 23 დეკემბრის ცვლილება, რომლითაც განისაზღვრა პენსია უკვე პენსიაში გასული მოსამართლეთათვის.

2. პენსიასთან დაკავშირებული პირველი დავის დროს, მოსამართლე ს.–მ გადააბიჯა რა მოცემული საქმის ფარგლებს, რომელიც, როგორც წესი შეზღუდულია უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის 2001 წ. 16 მარტის ცვლილების

კანონიერების საკითხთან მიმართებაში, ნათლად გამოხატა თავისი აზრი 2005 წ. 23 დეკემბრის ცვლილების კანონიერებაზე. მოსამართლე ს.–ს მხრიდან 2005 წ. 23 დეკემბრის განმარტება იყო მხოლოდ თეორიული; მან შესთავაზა, რომ სადაო ცვლილება უნდა ყოფილიყო გამოყენებული მომჩივნის მოცემული სიტუაციისთვის (იხ. გადაწყვეტილების § 25).

3. იმდენად რამდენადაც, 2005წ. 23 დეკემბრის იგივე ცვლილების გამოყენების კანონიერება მომჩივნის პენსიის მიღების უფლებებთან მიმართებაში იყო მეორე დავის ძირითადი შემადგენელი ნაწილი, მე მივიჩნევ, რომ იგივე საკითხის განხილვის დროს მოსამართლე ს.–ს მეორედ მონაწილეობით დაირღვა მიუკერძოებლობა კონვენციის მე-6 (§1) მუხლის შესაბამისად (შეად. Kleyn and Others, cited above, §200; Sacilor-Lormines v. France, no. 65411/01, § 73, ECHR 2006 XIII; and Mežnarić v. Croatia, no. 71615/01, §32). რასაკვირველია მომჩივნის შიშს, რომ მოსამართლე ს.–ს ჰქონდა წინასწარი წარმოდგენა მეორე დავის გამოსავალზე, ვინაიდან მას უკვე ჰქონდა გამოხატული აზრი ამ საკითხთან მიმართებაში, აქვს გამართლება. მისი ჩართულობა მეორე საქმის განხილვაში, შეიძლება ითქვას, რომ არ იყო ხელშემწყობი ნდობის თვალსაზრისით, რომლითაც უნდა სარგებლობდეს სასამართლო საზოგადოებაში. (იხ. De Cubber v. Belgium, 26 October 1984, § 26, Series A no. 86, and Castillo Algar v. Spain, 28 October 1998, § 32, Reports of Judgments and Decisions 1998 VIII).

4. ამ მოსაზრებების საფუძველზე, მე დავასკვენი, რომ კონვენციის მე-6 (§1) მუხლის დარღვევას ჰქონდა ადგილი მიუკერძოებელი სასამართლოს მოთხოვნასთან მიმართებაში.

5. I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის შესაბამისობასთან მიმართებაში, უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი არ უზრუნველყოფს პენსიის ან სხვა სოციალური დახმარების განსაზღვრული ოდენობით მიღების უფლებას (იხ., მაგალითად, Aunola v. Finland (dec.), no. 30517/96, 15 March 2001). თუმცაღა, სასამართლო პრაქტიკის თანახმად, თუ განსაზღვრული ოდენობის პენსიის მიღების უფლება დადგენილია კანონით ან სავალდებულო სასამართლო გადაწყვეტილებით, ასეთი უფლება დაცულია I დამატებითი ოქმის 1–ლი მუხლის თანახმად. (იხ., მაგალითად, Andrejeva v. Latvia [GC], no 55707/00, §§ 77 and 78, 18 February 2009; Pravednaya v. Russia, no. 69529/01, §§ 37-41, 18 November 2004; Smirnitskaya and Others v. Russia, no. 852/02, §§33-37, 5 July 2007; and Solodyuk v. Russia, no. 67099/01, §§ 26-27, 12 July 2005).

მოსამართლეთა უმრავლესობა ეთანხმება იმ ფაქტს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის 36-ე მუხლის საფუძველზე, მომჩივნის უფლება მიიღოს პენსია ოდენობით, რომელიც ცვლილებადია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ხელფასის შესაბამისად, დაცული იყო I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე. (იხ. გადაწყვეტილება, §72).

6. უფრო მეტიც, კანონის გამოყენება უკუძალის ეფექტით, რომელიც ლახავს მომჩივნის ფინანსურ ინტერესს უნდა იქნას მიჩნეული, როგორც ქონების ჩამორთმევა I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში (იხ., მაგალითად

Smirnitskaya, cited above, §§ 49-53, and Smokovitis and Others v. Greece, no. 46356/99, §§ 32-34, 11 April 2002).

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილების თანახმად, 2001 წ. 16 მარტის ცვლილებას არ ჰქონდა უკუძალის ეფექტი. იმ ფაქტის მმიუხედავად, რომ მომჩივნის პენსიის მიღების უფლებას აქვს უწყვეტი ხასიათი, ეს უფლება, უზენაესი საამართლოს აზრით, წარმოიშვა, მომჩივნის საპენსიო ასაკის დადგომისას 2000 წ. მაისში, როცა მას დაენიშნა სამისდღეშიო პენსია უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის 36-ე მუხლის საწყისი ვერსიის შესაბამისად.

7. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა უმრავლესობა აგრეთვე აღნიშნავდა, რომ უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის 36-ე მუხლი ამკვიდრებს საპენსიო დახმარების მაღალ სტანდარტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთათვის. ის ამასთან მიმარტებაში აცხადებდა, რომ:

„მაღალი სტანდარტის საპენსიო სისტემის შექმნა არის არა მარტო კონკრეტული საპენსიო ასაკის მოსამართლის სოციალურ დაცვის საკითხი, არამედ ის აგრეთვე მიზნად ისახავს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებას ზოგადად, უზრუნველყოფს რა მოქმედი მოსამართლისთვის საპენესიო ასაკის დადგომის შემდეგ იგივე სარგებლის მიღებას,,, (იხ. §23).

8. მოსამართლეთა უმრავლესობა ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებს იმ მიზეზებს, რომელიც დაფუძნებულია ეკონომიკურ არგუმენტებზე დაუკავშირდება „სახელმწიფო ბიუჯეტის მდგრადობას“. მე არ ვკამათობ მიზნების მნიშვნელობაზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ მიზნებმა გავლენა მოახდინოს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაზე.

უფრო მეტიც, მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტი არ უნდა იყოს ის, თუ როგორ და რა ხარისხით შეუქმნის საფრთხეს ბიუჯეტის მდგრადობას ოცდაერთი პირისთვის პენსიის გაზრდა.

მსგავსი არგუმენტის შემთხვევაშიც, მომჩივანს ერთმევა უფლება მიიღოს გაზრდილი პენსია *ex post facto* 2005წ. 23 დეკემბრის ცვლილების გამო, რაც წარმოადგენს I დამატებითი ოქმის 1–ლი მუხლის დარღვევას.